უწმინდესი პატრიარქის კირილეს სამძიმარი ჰაიტის პრეზიდენტ ჟოვენელ მოიზის მკვლელობასთან დაკავშირებით

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ სამძიმარი გამოხატა ჰაიტის პრეზიდენტის ჟოვენელ მოიზის მკვლელობასთან დაკავშირებით.

ჰაიტის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ კლოდ ჟოზეფს!

პატივცემულო ბატონო ჟოზეფ!

ღრმად შეძრწუნებული ვარ ჰაიტის პრეზიდენტის ჟოვენელ მოიზის მკვლელობის ამბის გაგებით ბოროტმოქმედების მხრიდან სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციაზე თავდასხმის შედეგად.

განსვენებული ქვეყანას ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა, ბევრს აკეთებდა ჰაიტელების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

გთხოვთ, სამძიმრის სიტყვა გადასცეთ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, ვუსურვებ მათ მტკიცე ძალას, რათა ღირსეულად გადაიტანონ ეს მძიმე განსაცდელი. ვმწუხარებ ჰაიტელ ხალხთან ერთად მომხდარი ტრაგედიის გამო.

პატივისცემით,

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87686/